შპს „მშენებელი 2004"
2023
წლის

ფინანსური ანგარიშგება

მინაარსი

2023 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 4

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა 6
4. შემოსავალი 6
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 6
6. ძირითადი საშუალებები 7
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 7
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 8
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 8
10. გადასახადები 8
11. დაკავშირებული მხარეები 8
12. მნიშვნელოვანი საალრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები 9
    - (ა) შემოსავალი 9
    - (ბ) სხვა ხარჯები 9
    - (გ) ძირითადი საშუალებები 9
    - (დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 10
    - (ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 10
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 10

2023 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2022	2023
შემოსავალი	4	2,757,772	2,978,763
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-1,915,651	-2,078,205
საერთო მოგება		**842,121**	**900,558**
სხვა შემოსავალი		0	0
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	5	-527,994	-577,418
მიწოდების დანახარჯები		0	0
სხვა შემოსულობები		0	0
სხვა ხარჯი		-270,566	-159,533
საოპერაციო მოგება		**43,561**	**163,607**
ფინანსური შემოსავალი		0	0
მიმდინარე პერიოდის შემოსავალი		**43,561**	**163,607**
მოგების გადასახადი		0	0
წმინდა მოგება		**43,561**	**163,607**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 23 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი
თენგიზ ტუსვაძე

მთავარი ბუღალტერი
გიორგი გულიაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას მასზე დართული განმარტებითი შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 5-10.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	728,772	376,748
არამატერიალური აქტივები		6,887	3,661
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		*735,659*	*380,409*
მიმდინარე აქტივები			
საავჭრო და სხვა მოთხოვნები	7	293,966	248,012
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	34,873	186,417
მარაგები		117,578	98,734
სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები (საგადასახადო ზედმეტობა)		0	0
სულ მიმდინარე აქტივები		*446,417*	*533,163*
სულ აქტივები		*1,182,076*	*913,572*
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება		120,046	-43,561
სულ საკუთარი კაპიტალი		*120,046*	*-43,561*
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საავჭრო ვალდებულებები		0	0
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		39,845	41,155
სხვა ვალდებულებები		0	915,978
მყიდველებისგან მიღებული ავანსები	8	1,022,185	0
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	10	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		*1,062,030*	*957,133*
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		*1,182,076*	*913,572*

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი
თენგიზ კიკვაძე

მთავარი ბუღალტერი
გიორგი გულიტაშვილი

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მშენებელი 2004" რეგისტრირებული არის "მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად, რომლიც დარეგისტრირდა 14/01/2004-ში.
კომპანიის ოურიდიული მისამართია საქართველო, რუსთავი, მშვიდობის 1 კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 216399626

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.
კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებლები	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
ჯემალ გიგუაშვილი	70%	70%
შპს ბორჯომი-ცენტრალი	30%	30%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.
ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

ლარი	*2023 წ.*
საოპერაციო შემოსავალი	2,978,763
არასაოპერაციო შემოსავალი	0
სულ შემოსავალი	**2,978,763**

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	*2023წ.*
შრომის ანაზღაურება	182,005
ბანკის %	0
დაცვა	2,028
საკონსულტაციო მომსახურეობა	0
საიჯარო ქირა	97,034
დაზღვევა	9,396
გაყიდვების თვითღირებულება	2,078,205
კომუნალური გადასახადები	175,701
საკანცელარიო საქონელი	0
ცვეთა და ამორტიზაცია	53,260
ავტომანქანის რემონტის ხარჯი	38,046
სხვა	179,481
სულ	**2,815,156**

6. ძირითადი საშუალებები

ლარი	წმინდა სანალსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა ღირ. 2023 წლის 31 დეკემბერს
შენობა ნაგებობა	144,656	0	0	14,466	130,190
დანადგარები	81,274	211,663	0	22,651	270,286
ინვენტარი	5,302	22,910	0	2,470	25,742
არამატერიალური აქტივი	3,661	3,226	0	0	6,887
მანქანები	82,380	173,848	0	13,674	242,554
სულ ძირითადი საშუალებები	**317,273**	**411,647**	**0**	**53,261**	**675,659**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	*2023 წ.*
სავაჭრო მოთხოვნები	293,966
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**293,966**

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	*2023 წ*
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	39,845
სხვა ვალდებულებები	1,022,185
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,062,030**

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა 34,873 ლარის ფულადი სახსრები, მათ შორის: საბანკო ანგარიშებზე 17,689 ლარი, ხოლო სალაროში 17,184 ლარი.

10. გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულება შეადგენდა 2,874 ლარს.

11. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი	2023 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	32,826

12. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ცემენტის წარმოება და რეალიზაცია.
ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით,

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწეისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საანრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) საავჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება საავჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) საავჭრო და სხვა ვალდებულებები

საავჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული საავჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

დირექტორი
თენგიზ კიკვაძე

მთავარი-ბუღალტერი
გიორგი გულიტაშვილი